ბრძოლის დროშა

საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო

გამოცემის 23-ე წელი

პარასკევი, 9 მარტი, 1956 წ. № 30 (1409). ფასი 15 კაპ.

ყოველი ღონისძიებით განვითარდეს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეცხოველეობა, აგრეთვე მეცხოველეობა საბჭოთა მეურნეობებში. გადიდდეს ხორცის წარმოება უწინარეს ყოვლისა მეღორეობის, როგორც ყველაზე მალმწიფადი მეცხოველეობის დარგის განვითარების გზით; აყვანილ იქნას ღორის ხორცის ხვედრითი წონა ჩვენს ქვეყანაში ხორცის წარმოების საერთო მოცულობის 50 პროცენტამდე, რისთვისაც გამოყენებულ იქნას ღორების სახორცედ და საბეკონედ გასუქების უპირატესობანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებიდან.

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქრო. წინა ხედზე ოპერატორი ნინო ბუკაევა მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

მტკიცედ მოვკიდოთ ხელი მეღორეობის განვითარებას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოქმედების უმაღლესი კანონი საზოგადოების მზარდ მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფაა.

პარტია და საბჭოთა მთავრობა, მთავარ ყურადღებას აქცევენ რა სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარების საფუძველთა-საფუძველის — მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების საქმეს, განუწყვეტლივ ზრუნავენ მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისა და ამ მხრივ მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხორცს, მისი წარმოების გადიდების საქმეს.

სკკპ XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია ხორცის წარმოების შემდგომი გადიდება. ჩვენს ქვეყანაში ხორცის წარმოების საერთო მოცულობაში ღორის ხორცის ხვედრითი წონის 50 პროცენტამდე ზრდა.

ჩვენს რაიონში ღორის მოშენების ძველი ტრადიცია აქვთ ფალავანდის, ქვემოერკეთის, ვანის, ციხისძირეკოულის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობას, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ნამატის მიღების, შენარჩუნების, ხორცის წარმოებისა და დამზადებათა გეგმები. რაიონის რიგ კოლმეურნეობებში მოწესრიგებულია სტანდარტული კასტრაციული ბინები, გამოყოფილია საკვები დაწესებული გათვალისწინებით, [illegible] გაუმჯობესებულ[illegible].

[illegible] ასე როდია ყველგან. [illegible] იქნას, რომ რაიონის [illegible] კოლმეურნეობებში [illegible] ყურადღებით ჯერ კიდევ [illegible] — მეცხოველეობის ეს ყველაზე [illegible] დარგი, [illegible] ზოგიერთ კოლმეურნეობებში [illegible] მიტოვებული, თავმიჯდომარის, ბუკანარის, იანეველის, ბურნათის, წიფნარის, კოხნარის, თხილაგანის, ზემოხეთის, ხევის კოლმეურნეობებში ღორები უვარგის ბინაში ყავთ, ხოლო ნაბეღლავის და ზემოსურების—სრულიად არ აქვთ საკუთარი ბინა. რიგ კოლმეურნეობებში (ბუკნარი, ბურნათი, ქვაბლა, ბუქსიეთი, ბჟოლიეთი, სამება, ონჭიქედი) ფერმის ეზო შემოულობავი აქვთ, ხოლო დიდივანის კოლმეურნეობას ნაკვეთიც არ აქვს გამოყოფილი.

ადგილებზე არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ ბუნებრივი საძოვრის გამოყოფა-მოვლისა და ნათესი საძოვრების შექმნისათვის, რითაც ფერხდება მეღორეობის განვითარება.

ამ საქმისადმი უყურადღებობის გამო ზოგიერთმა კოლმეურნეობამ დაბლა დასწია რაიონში ერთ დედაღორზე გოჭის მიღებაგამოზრდის საშუალო მაჩვენებლები. გასულ წელს ნაბეღლავის კოლმეურნეობაში ერთი დედაღორიდან საშუალოდ მიღებულ იქნა ერთი გოჭი, ხევის — 3, ზემოსურების—2, დიდივანის—3, ციხილაგანის — 4, ზემოხეთის — 5, რითაც 3-ჯერ ჩამორჩნენ საგეგმო დავალებებს.

უყურადღებობისა და ვეტერინალურ მუშაკთა ცუდი მუშაობის შედეგად (პროფილაქტიკური და სამკურნალო ლონისძიებათა გაუტარებლობა და სხვა) წიფნარის, ხიდისთავის, განახლების, ნაკადულის, ქვაბლის კოლმეურნეობებში არის ღორის სიკვდილიანობის ხშირი შემთხვევები.

არანორმალური მოვლენაა, ისიც, რომ მეღორეობის ფერმის მუშაკებს ხშირად ეძლევათ სხვა, ფერმის მუშაობისაგან მომწყვეტი დავალებები, რაც აფერხებს ნორმალურ მუშაობას (ფარცხმა, ქვენობანი, წიფნარი, გოგოლესუბანი).

რაიონის კოლმეურნეობების მეღორეობის ფერმების მდგომარეობის შესახებ მსჯელობა იქონია პარტიის ჩოხატაურის რაიკომის ბიუროომ და პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა გამგეობების ყურადღება გაამახვილა მათს პასუხისმგებლობაზე არსებული არანორმალური მდგომარეობის უსწრაფესად დაძლევის საქმეში.

პასუხისმგებლობის სრული შეგნებით მოვკიდოთ მეღორეობის განვითარების საქმეს.

ზრდიან პროდუქციის გამოშვებას

[illegible] ფაბრიკაში პარტიის XX ყრილობის [illegible] დიდი აღმავლობით მუშაობენ. 1956 წლის [illegible] ვ. [illegible] ბრიგადაში განსაკუთრებით გამოირჩევიან ხარატი [illegible] ვ. ნადირაძე, ავეჯის ამწყობი ბ. სამხარაძე, გამხეხი [illegible] ჯ. შარიკაძე, რომლებიც ინდივიდუალურად ნაკისრ [illegible] სიტყვიერად 150-170 პროცენტით ასრულებენ.

ეცნობიან პარტიის XX ყრილობის მასალებს

შრომითი ნარმატებებით უპასუხებენ

პარტიის XX ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში.

პარტიის XX ყრილობის მასალების თვითეულ მუშაკამდე დაყვანისათვის განსაკუთრებულ ინიციატივას იჩენენ სამტრესტის ქარხნის აგიტატორები, რომლებიც ყოველლიურ ქმედით საუბრებს ატარებენ თვითეულ სამქროების ცალკეულ უბნებზე.

აგიტატორმა მ. ჩხიკვიშვილმა გააცნო, რა XX ყრილობის რეზოლუცია ქარხნის მუშაკებს, მათ ახალი, გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს საწარმოო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ჭიჭის ნეედლი სპირტის გამოხდაზე მოუშავე მუშებმა გიორგი ცინცაძემ, რევაზ გოთგაძემ, ნოე კობალაძემ და გურამ ჯიქიამ ვალდებულებანი აიღეს მარტის თვის გეგმა შეასრულონ გადაჭარბებით, და ამასთან შეამცირონ დანაკარგები.

საკონიაკე სპირტის გამოხდაზე მომუშავე გივი ჩხიკვაძემ და გივი ულენტმა ხაგიტაციო საუბრებზე განაცხადეს, რომ იბიები აღფრთოვანებულნი არიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით, და ძალახა დაენერგიას არ დაზოგავენ იმისათვის, რომ ყველა დავალება შესრულდეს მოცემულ ვადებში და გადაჭარბებით.

ვ. რამიშვილი,
„ბრძოლის დროშას“ კორესპონდენტი

ჩოხატაურის საშუალო სკოლაში

ჩოხატაურის საშუალო სკოლის მუშაკთა კოლექტივში ამჟამად დიდი აღმავლობაა. პედაგოგიური კოლექტივი სწავლობს მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს.

სასკოლო პირველად პარტიულ ორგანიზაციას გადაწყვეტილი აქვს ჩაატაროს პოლიტიკური მოხსენებები ყრილობის შედეგების შესახებ.

ყრილობის შედეგების შესახებ სკოლის უფროსს კლასებში კლასის ხელმძღვანელი მასწავლებლების მიერ ჩატარდა საagიტაციო საუბრები, ისინი ყრილობის მასალების განხილვას უკავშირებენ სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების გატარების, მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მიღწევისა და დიციპლინის განმტკიცების საქმეს.

საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციიდან 7 კომუნისტი მასწავლებელი ჩოხატაურის კოლმეურნეობაში ეწევა სააგიტაციო მუშაობას. აგიტატორები ნ. ნინიძე, ნ. გოგინაშვილი, ს. სიხარულიძე გულდასმით ეცნობიან რა ყრილობის მასალებს, ყოველდღიურად იბრძვიან იმისათვის, რომ კოლმეურნეობაში ფართო პროპაგანდა გასწიონ ყრილობის გადაწყვეტილებათა ლრმად შესასწავლად და სამეურნეო ნარმატებათა მოპოვებისათვის.

ლ. ჩიგოგიძე,
„ბრძოლის დროშას“ კორესპონდენტი

რვა მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

გუშინ, ჩოხატაურის კულტურის სახლში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ჩანტლაძემ.

რაიონის სამედიცინო დარგის მუშაკებიდან მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა თ. ჩიჩუა, ჩაის მეორე ფაბრიკიდან ვ. სხვიტარიძე, კოლმეურნეთა სახელით—ე. გოგუაძე, საგრენაჟო ქარხნიდან—ი. სარიშვილი, მოსწავლეთა სახელით—ი. გურგენიძე.

დასასრულს ნაჩვენები იქნა მხატვრული კინოფილმი.

შრომის ორგანიზაციის სწორად მოწყობა წარმატებათა გადამწყვეტი პირობა

(ფარცხმის კოლმეურნეობაში)

მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა გზები კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის.

ამ ამოცანების შესრულება წარმოუდგენელია კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების გარეშე.

რა მუშაობა ტარდება ამ ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად ფარცხმის კოლმეურნეობაში?

შრომის ორგანიზაცია

კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე შ. მეგრელიშვილი) დროულად განიხილა საკითხი შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისა და მუშახელის რაციონალურად გამოყენების შესახებ. დაკომპლექტდა ბრიგადები და რგოლები, ყოველი სახის გეგმები დაყვანილ იქნა ბრიგადების, რგოლებისა და ცალკეულ კოლმეურნეების მიხედვით და თვითეულს გაუპიროვნდა ფართობი, მიეცა მოსავლიანობის გეგმები.

კოლმეურნეობის შრომისუნარიანი 227 წევრიდან იანვარში საკოლმეურნეო შრომაში 202-მა კოლმეურნემ მიიღო მონაწილეობა, ხოლო თვითეული მათგანის საშუალო დატვირთვამ 20 შრომადღეს მიაღწია. ენერგიული მუშაობის შედეგად მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა.

103 ჰექტარი ჩაის ფართობიდან იანვრის თვეში 76 ჰექტარზე ჩატარდა, ხოლო თებერვალში მთლიანად დამთავრდა მსუბუქი ბარვა და მინერალური სასუქების შეტანა. 155 ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობიდან საგაზაფხულო ხვნისათვის იანვარში მომზადდა 20, თებერვალში—30 და ამ ხნის მანძილზე მოიხნა 20 ჰექტარი ფართობი.

ამასთან ერთად ფარცხმელმა მშრომელებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის. გზის გაყოლებით 7 კილომეტრ მანძილზე დაირგო 2.000 ძირი მცენარე.

აღებულ ვალდებულებათა შესრულების გზაზე

ფარცხმელი მშრომელები ჩაებნენ, რა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს ვალდებულებანი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ყრილობის შედეგებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები წარმატებით იბრძვიან აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის და საფუძველს უყრიან ახალი წლის უხვ მოსავალს.

საპასუხისმგებლო ამოცანები დგას ფარცხმელ მეჩაიეების წინაშე. ნაკისრი ვალდებულებით მათ საშუალოდ ჰექტარზე უნდა მიიღონ 3.000 კილოგრამი ჩაი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2570-ისა. მეჩაიეებმა ე. ჩხიკვაძემ, შ. ბერძენიშვილმა, ნ. ყარაჯაშვილმა, ჟ. ჩხიკვაძემ, ა. მეგრელიშვილმა 0,3-0,5 ჰექტარი ფართობიდან თვითეულმა (ჰექტარზე გადაანგარიშებით) 5-7 ტონა ჩაის ფოთლის მიღება ივალდებულეს. ამ მიმართებით მათ პირველი ნაბიჯები გადადგეს. გაპიროვნებულ პლანტაციებში იანვარში ჩაატარეს მსუბუქი ბარვა სასუქების შეტანით და ამჟამად მზად არიან ბუჩქების გასხვლისათვის, პლანტაციებში აზოტის პირველი დოზის შეტანისათვის.

წარმატებათა პირველი შედეგებია მეცხოველეობის დარგში. დეკემბერში საშუალოდ თვითეული საფურაჟე ძროხიდან 75 ლიტრი რძე მიიღეს, ხოლო იანვარში—109. კუკური ხაბეიშვილმა და მირიან ცინცაძემ მათზე გაპიროვნებულ თვითეული ძროხიდან საშუალოდ 1.400, ხოლო ილია ბერძენიშვილმა ადგილობრივი ჯიშის თვითეული ძროხიდან 1000 ლიტრი რძის მიღება ივალდებულეს. ეს ვალდებულება ქალაღზე არ დარჩენილა. იგი საქმეშიც გამოიხატა. კ. ხაბეიშვილს საშუალოდ 1 მარტისათვის თვითეული ძროხიდან უკვე მიღებული აქვს 530 ლიტრი რძე, მ. ცინცაძეს—570 ლიტრი. მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ფერმის სხვა მუშაკებიც.

მეჩაიებსა და მეცხოველეებს მევენახეობა-მეციტრუსეობის ბრიგადაც არ ჩამორჩება, აქ მნიშვნელოვანი მუშაობა არის ჩატარებული.

საკოლმეურნეო შრომაში ენერგიულად მონაწილეობენ შ. ბერძენიშვილი, ჟ. ჩხიკვაძე, დ. ცინცაძე, ს. ჩხიკვაძე, ე. ბერძენიშვილი და სხვები. თვითეულ ნათგანს მარტო იანვრის თვეში 20-25 შრომადღე აქვს გამომუშავებული.

მაგრამ ასე როდი ითქმის თ. ს. ჩხიკვაძეზე, ჟ. ვ. ცინცაძეზე, ც. ა. ბერძენიშვილსა და სხვებზე, რომლებსაც დიდი ზეგავლენა დაჭირდათ იმისათვის, რომ იანვრის თვეში 5-7 შრომადღე გამოემუშავებინათ.

ახალგაზრდობა საკოლმეურნეო შრომაში

კოლმეურნეობაში ბევრია კომკავშირელი და კომკავშირგარეშე ახალგაზრდობა. მათი უმრავლესობა მთელი ენერგიით იბრძვის სასოფლო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

კომკავშირელი ომარი ბერძენიშვილი სამი წელია კოლმეურნეობაში მუშაობს, წარმატებით ასრულებს სამეურნეო გეგმებს და აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში. მიმდინარე წელს იგი მერგოლურად იქნა დაწინაურებული. კოლმეურნეობის გამგეობა არჩევანში არ შემცდარა—რგოლს შესრულებული აქვს ჩაის მსუბუქი ბარვის, სასუქების შეტანის, ლაო ჩაის კრეფისა და სახნავ-სათესი ფართობის საგაზაფხულო ხვნის გეგმები. იანვრის თვეში რგოლის წევრთა საშუალო დატვირთვამ 21,7 შრომადღეს მიაღწია. ასევე. მოწინავეებია: გივი კუტალაძე, დურმიშხან ბერიშვილი, ტატიანა მეგრელიშვილი და მრავალი სხვა.

საზოგადოებრივ საქმეს მოწყდნენ

კოლმეურნეობაში, უფრო სწორად მის გარეთ, არიან ახალგაზრდები, რომლებმაც უახლოეს წლებში დაამთავრეს საშუალო სკოლა ან დემობილიზებულნი არიან საბჭოთა არმიის რიგებიდან. ახლა მათი „ზრუნვის“ საგანს წარმოადგენს ის, თუ რა ხერხებით აარიდონ თავი საკოლმეურნეო შრომას. ასეთებია: ვენერა მეგრელიშვილი, ვალიკო ცინცაძე, რეზო ელიეშვილი, მაყვალა მეგრელიშვილი, გიორგი ცინცაძე, ჯანიკო ხურცილავა, ნაზი მეგრელიშვილი და სხვ. მათ როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელსაც არც-ერთი შრომადღე არ აქვთ გამომუშავებული. მათი უმრავლესობა თავს იმით „იმართლებს“, რომ სწავლის გაგრძელება სურთ. ეს სურვილი მხოლოდ სურვილად რჩება, რადგან სათანადო მომზადებისათვის თავს არ იწუხებენ.

ნუ თუ ამ ახალგაზრდებს არ ქეჯნის სინიდისი, როდესაც 65 წლის მიხეილ სიხარულიძემ, 75 წლის სარდიონ ჩხიკვაძემ, 78 წლის ტარასი მეგრელიშვილმა გასულ წელს 170-210, მიმდინარე წლის იანვარში 15-20 შრომადღე გამოიმუშავეს, ხოლო ენერგიით სავსე 20-25 წლის ახალგაზრდები უსაქმურად დახეტიალობენ.

ჯერ კიდევ გვიანი არ არის ამ ახალგაზრდებმა დროულად თავიანთ მოქმედებანი ჩაებნენ საზოგადოებრივ-სარგებლო შრომაში. მათ ... ქმეში სათანადო დასკვნა უნდა გაუწიოს პირველ... პარიტულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

საagიტაციო მუშაობა

ფარცხმის კოლმეურნეობაში არსებული ნაკლოვანებებიდან ... ლად ადასტურებს, რომ ... ნადო სიმაღლეზე არ დგას ... ლიტიკური აგიტაციის ... აგიტატორები შემთხვევითი შემთხვევამდე ატარებენ ... უბრებს. 400-მდე კომ... მხოლოდ 16 აგიტატორი ... ვა მუშაობას. არადამაკ... ყოფილებელია კედლის... თის მუშაობა (რედაქტორი ... ს. ვაშალომიძე). მიმდინარე ... წელს იგი მხოლოდ ერთ... გამოვიდა, ისიც უფერული ... სუსტია საველე გაზეთ... ბის მუშაობაც. როგორც ... ფარცხმის კოლმეურნეობის ... სათანადოდ არ აფასებენ ... ლიტიკური აგიტაციის მნიშ... ნელობას გეგმების წარმატებით ... შესრულებისათვის მშრომელ... დარაზმვის საქმეში.

შრომის ორგანიზაციის უმჯობესება, მუშა-ხელის ... ციონალურად გამოყენება, ... ლა წევრის საკოლმეურნეო ... შრომაში ჩაბმა ფარცხმის კო... მეურნეობის გამგეობის, ... ველადი პარტიული და კომ... შირული ორგანიზაციების ... რადღების ცენტრში უნდა ... დგეს.

ბ. ახალაია

წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. აქ აშენებულია ორი ბოსელი, რომლებშიც მოწყობილია ავტომატური სარწყულებლები, მთლიანად მექანიზირებულია შრომატევადი სამუშაოები, რაც უზრუნველყოფს კოლმეურნეთა შრომის შემსუბუქებას.

სურათზე: პრაქტიკული მეცადინეობა მწველავებთან კოლმეურნეობის მექანიზებულ ფერმაში.

ფოტო ი. დვალისა

საბჭოთა მშენებლობა

დეპუტატთა ანგარიში ამომრჩევლებთან

ამომრჩეველთა განაწესის შესრულება თვითეული დეპუტატის გადაუდებელი საბრძოლო ამოცანაა. ამასთან მის შესრულებაზე ხალხის მსახურმა—დეპუტატმა ანგარიშით უნდა წარსდგეს თავისი ამომრჩევლების წინაშე.

სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომებმა უნდა შეადგინონ კალენდარული გეგმები დეპუტატთა ანგარიშების ჩაბარების შესახებ. თვითეული დეპუტატი ვალდებულია წელიწადში ორჯერ მაინც მოახსენოს თავისი მუშაობის შესახებ ამომრჩევლებს. ამასთან ერთად ანგარიშების შედგენაში ამა თუ იმ დეპუტატს დახმარება უნდა გაუწიოს აღმასკომებმა.

ჩვენს რაიონში ადგილობრივი საბჭოს 400 დეპუტატიდან, გასულ წელს, ამომრჩევლებს ანგარიში 207 დეპუტატმა ჩააბარა. მაგრამ ამ მხრივ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. მაგალითად, ზემოსურების, ქვეინობნის, ნაბეღლავის, ... ერკეთის, ზომლეთის სა... ლო და ჩოხატაურის სა... საბჭოების დეპუტატები ... და მიმდინარე წელსაც ... ვნელო რაოდენობით გამ... ნენ ანგარიშით ამომრჩ... ების წინაშე.

დეპუტატთა ანგარიშით ... მოსვლა ამომრჩეველთა წინ... სრულიად უგულებელყოფ... დიდივანის სასოფლო საბ...

ყველა ზემოთ ჩამოთვ... ნაკლოვანებანი მეტყველ... იმაზე, რომ რიგი სასოფ... საბჭოები მიეცნენ თვით... ბას, რეგულარულად არ ... ვენ სესიებს და ნაკლები ... დღება ექცევა დეპუტატთა ... ქმიან წინადადებებს.

აღნიშნული ნაკლოვანებ... დროულად უნდა გამოსწ... დეს.

ბ. ცინცაძ...

ჩოხატაურის რაისაბჭოს აღმასკომ... მდივანი

მეექვსე ხუთწლედის ტექნიკა



ნოვოჩერკასის ს. მ. ბუდიონის სახელობის ელექტრომავალთმშენებელ ქარხანაში ააგეს ახალი მაგისტრალური სატვირთო ელექტრომავალი „ვლ-23“. მისი სიმძლავრე 4.300 ცხენისძალას უდრის, რაც 30 პროცენტით აღემატება ამავე სერიის ელექტრომავალ „ვლ-22“-ს.

ახალი ელექტრომავლის ტვირთწევადობის ძალა 70 კილომეტრსაათის სიჩქარის დროს 3-ჯერ მეტია ვიდრე ელექტრომავალი „ვლ—22“-სა და 1,7-ჯერ ორთქლმავალ—„ფდ“-ს.

„ვლ-23-ის მაქსიმალური სიჩქარე 100 კილომეტრ-საათს უდრის

სურათზე: ელექტრომავალი „ვლ—23“.

საკდესის ფოტო

ძირეული პრესის მიმოხილვა

ერთი სოფლის ორი კედლისგაზეთი

დიდივანის სასოფლო ტერიტორიაზე პირველადი პარტიული ორგანიზაციის და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს 15 დღიური ორგანო კედლისგაზეთი „ლენინის გზით“ (რედაქტორი თ. რამიშვილი), ამ დღეებში, როცა სააგიტაციო მუშაობის ყველა რგოლი მობილიზებულია პარტიის XX ყრილობის მასალების თვითეულ მშრომელამდე დაყვანისათვის, გამოირჩევა თავისი ოპერატიული მუშაობით.

გაზეთში ვხვდებით ისეთ მასალებს, რომლებიც ნათლად პასუხობენ სადღეისო ამოცანებს. ამასთან, სარედაქციო კოლეგიას დავიწყებული არ აქვს კრიტიკული ხასიათის წერილების გაშუქება. თითქმის ყველა ნომერში ვხვდებით მამხილებელ წერილებს სოფლის ხარვეზებიდან, სააგიტაციო-მასობრივ სფეროში არსებულ ნაკლოვანებებზე და სხვ.

მაგრამ ასე როდი ითქმის საკოლმეურნეო კედლისგაზეთზე — „კომუნისტურ საკენ“ (რედაქტორი ამხ. შ. რამიშვილი, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. რამიშვილი).

გაზეთს თავის ირგვლივ არ ყავს შეკრებილი კედლკორთა ფართო აქტივი. იგი 2-3 კაცის ხელით კეთდება. გაზეთი ვერ რაზმავს კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო დავალებათა შესრულებისათვის.

კოლმეურნეობის ცალკეულ ბრიგადებში გამოდის საველე გაზეთები. უნდა ითქვას, რომ საკოლმეურნეო კედლის გაზეთთან შედარებით მათი მუშაობა დამაკმაყოფილებელია და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ზრუნვა ამ მხრივ ცუდი როდია. მაგრამ პარტიული ორგანიზაცია მაინც ვერ წვდება ზოგიერთ საველე გაზეთს, ვერ ხელმძღვანელობს მას. მაგალითად, ძალზე სუსტად მუშაობს კოლმეურნეობის № 2 ბრიგადის გაზეთი. გასულ წელს აქ ხშირი შემთხვევები იყო გაზეთის ნომრის ჩავარდნისა, ხოლო არც მიმდინარე წელს არის სახარბიელო მდგომარეობა. ამ მხრივ, სერიოზულ დახმარებას საჭიროებს აგრეთვე № 1 ბრიგადის გაზეთი (რედაქტორი გოგუცა რამიშვილი).

ახლა ძირეული პრესის გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ დარაზმოს მასები მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, ხოლო პარტიულმა ორგანიზაციებმა მკვეთრად გააუმჯობესონ გაზეთისადმი ხელმძღვანელობა-დახმარება.

რა გვიჩვენა სააგიტაციო მუშაობის შემოწმებამ

აგიტკოლექტივების წინაშე განსაკუთრებით სერიოზული ამოცანები დგას ახლა, როდესაც მთელს ჩვენს ქვეყანაში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს პარტიის XX ყრილობის მასალების გაცნობა მშრომელ მოსახლეობაში.

პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში რაიონის ბევრმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. აგიტატორები ყოველდღიურად მართავენ საუბრებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესახებ, მიმდინარე პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ეწევიან სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების ფართო პროპაგანდას.

მაგრამ რაიონის ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი აქცევს ჯეროვან ყურადღებას მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. მაგალითად, იანეულის, ხევის, ნაბეღლავის და საჭამიასერის კოლმეურნეობების წევრთა შორის სუსტად არის დაყენებული პოლიტიკური აგიტაცია. აქ აგიტატორების უმეტესობა იშვიათად აწყობენ საუბრებს. ისინი არ იცნობენ კოლმეურნეობის ბრიგადებსა და ფერმებში არსებულ მდგომარეობას, წარმოდგენა არ აქვთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის გეგმებზე.

კიდევ უფრო ცუდად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა დიდივანის, ზემოსურების და ზოტის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში (მდივნები ა. რამიშვილი, ხ. ირემაძე, ს. ბარამიძე). აგიტატორები შ. რამიშვილი, ა. ლომინეიშვილი (ზემოსურები), შ. ტყეშელიაძე, ა. მეგრელიშვილი (ზოტი), სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ თავიანთი მოვალეობის შესრულების საქმეში. ისინი კმაყოფილდებიან მხოლოდ აღრიცხვით.

დიდივანის, ზემოსურების და ზოტის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ თვალსაჩინო აგიტაციას, მოწყობილი არ აქვთ სოციალისტური შეჯიბრების დაფა, მოწინავეთა ფოტო სურათების გამოფენა, რეგულარულად არ გამოდის საველე და კედლისგაზეთები, არ ხდება სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, ჭიანურდება საზამთრო და საგაზაფხულო სამუშაოები.

სერიოზული ნაკლოვანებებია მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში აგრეთვე ფარცხმის, ქვაბლის, გოგოლესუბნისა და განახლების კოლმეურნეობებში.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან აღმოფხვრან მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, ყოველმხრივ აამაღლონ ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის დონე.

პოლიტიკური აგიტაციის მაღალ დონეზე დაყენებისათვის კიდევ უფრო უნდა გავაუმჯობესოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უნარიანად გამოიყენონ პოლიტიკური აგიტაციის მთელი ძალა სკკპ XX ყრილობის მიერ სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული დიადი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

ზ. კალანდაძე,
პარტრაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე

მშობლთა პედაგოგიური კუდზური ამაღლებისათვის

სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან და სასკოლო ორგანიზაციებთან ერთად მშობლებსაც დიდი მოვალეობა ეკისრებათ ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

ისეთი მოსწავლეები, რომელთა მშობლები კარგად იცნობენ კომუნისტური აღზრდის მეთოდებს დისციპლინიანი არიან, სწავლობენ ბეჯითად და გულისხმიერებას იჩენენ სასკოლო და საზოგადოებრივი საქმისადმი.

მოსწავლეთა ოჯახური გარემოს შესწავლამ ცხადჰყო, რომ ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი მშობლები, რომლებზედაც სკოლის პედაგოგიურ კოლექტივისაგან გარკვეული აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაა საჭირო. დიდივანის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლები ხშირად ატარებენ მშობლებთან სემინარებს, ლექციებსა და საუბრებს.

მრავალთა შორის დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი ლექცია თემაზე „მშობელთა ავტორიტეტისა და პირადი მაგალითის მნიშვნელობა ბავშვთა აღზრდის საქმეში“.

სიტყვებში გამოვიდნენ მშობლები, რომლებმაც აღნიშნეს თუ რა ღონისძიებებს ატარებენ ისინი ოჯახში ბავშვთა აღზრდისათვის.

ნ. დოლიძე,
დიდივანის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი

საკანდიდატო სტაჟი და მისი დანიშნულება

ამხ. **ა. ზურაშვილის** (სიღნაღი) შეკითხვა

პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ XIX ყრილობაზე მიღებულ წესდებაში და ამ ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში. პარტიის ახალი წესდების მეორე განყოფილება მიძღვნილია პარტიის წევრობის კანდიდატებისადმი. „ყველა პირი, ვისაც პარტიაში შესვლა სურს, — აღნიშნულია წესდების მე-16 პარაგრაფში,— გაიარეს საკანდიდატო სტაჟს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კანდიდატი გაეცნოს პარტიის პროგრამას, წესდებას, ტაქტიკას და უზრუნველყოფილ იქნას კანდიდატის პირადი თვისებების შემოწმება პარტორგანიზაციის მიერ“.

პარტიის წევრობის კანდიდატად მიღება, ისევე როგორც წევრად მიღება, უნდა წარმოებდეს ინდივიდუალური წესით. პარტიაში მიიღებიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე ადამიანები, საბჭოთა საზოგადოების ყველაზე შეგნებული, აქტიური და კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ადამიანები, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ. საკანდიდატო სტაჟის ვადა 1 წელია.

პარტიის რიგებში შესვლისათვის თვითეული შემსვლელი წარმოადგენს პარტიის 3 წევრის რეკომენდაციას, რომელთაც აქვთ პარტიული სტაჟი არანაკლებ 3 წლისა და რომელნიც იცნობენ რეკომენდებულ პირებს სულ მცირე ერთი წლის ერთად მუშაობით.

წესდებით დაწესებულია, რომ ახალგაზრდობა 20 წლის ასაკამდე ჩათვლით პარტიაში შედის მხოლოდ საკავშირო ალკკ მეშვეობით. კომკავშირის რაიკომის რეკომენდაცია უდრის პარტიის ერთი წევრის რეკომენდაციას.

იმისათვის, რომ პარტიაში მისაღები ამხანაგის საკითხის განხილვაზე რაიმე ზეგავლენა არ მოხდეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და კანდიდატები, თანახმად წესდებისა, თავს იკავებენ რეკომენდაციების მიცემისაგან.

პარტიაში მიღების საკითხს განიხილავს და წყვეტს პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება, რომლის გადაწყვეტილება ძალაში შედის პარტიის რაიკომის ან საქალაქო კომიტეტის მიერ დამტკიცების შემდეგ. რაიკომის, საქალაქო კომიტეტის დადგენილება საბოლოოა, რის შემდეგ პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულს ეძლევა საკანდიდატო ბარათი.

პარტიაში შემსვლელი პირველადს პარტორგანიზაციაში ადგენს შემდეგ დოკუმენტებს: პირადად მისი ხელით დაწერილ განცხადებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებულ ანკეტას და პარტიის 3 წევრის რეკომენდაციას. იმ პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც ბიუროებია, საკითხის განხილვა ჯერ ბიუროზე ხდება. ბიუროს ევალება შეამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტები, კარგად შეისწავლოს, ღირსია თუ არა განმცხადებელი მიღებულ იქნას პარტიის რიგებში. ბიურომ თავისი აზრი უნდა მოახსენოს პარტიულ კრებას, რომელიც გადაწყვეტს პარტიაში მიღების საკითხს.

პარტიულ კრებას მისაღები ამხანაგის თანდასწრებით, მოხსენებას უკეთებს პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი, აქ აუცილებლად წაკითხულ უნდა იქნას პარტიაში შემსვლელის ანკეტა და მის მიერ წარმოდგენილი ყველა რეკომენდაცია.

პარტიაში მიღების საკითხის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში მასალები იგზავნება პარტიის რაიკომში. რაიკომის საორგანიზაციო განყოფილება წინასწარ ეცნობა წარმოდგენილ მასალებს და აყენებს საკითხს რაიკომის ბიუროზე. ბიუროს მოახსენებს პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი მისაღები პირის აუცილებლად თანდასწრებით.

თუ რაიკომის ბიურო არ დაამტკიცებს პარტიაში მიღების შესახებ პირველადი პარტიული ორგანიზაციის დადგენილებას, მაშინ მან პირველადს პარტორგანიზაციას უნდა განუმარტოს უარის მოტივი, რომ მსგავსი შეცდომა აღარ გამეორდეს.

პარტიაში ახლად შესული ამხანაგი ჩაბმულ უნდა იქნას პარტორგანიზაციის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ აქტიურად მონაწილეობდეს პარტიისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, დაუცხრომლად ეუფლებოდეს მარქსის-

(დასასრული მეოთხე გვერდზე)